



სახელმწიფო
ინსპექტორის სამსახური
STATE INSPECTOR'S SERVICE

საფინანსო ორგანიზაციის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება

სახელმწიფო ინსპექტორის
გადაწყვეტილება

ფაქტობრივი გარემოებები



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა ერთ-ერთი საფინანსო ორგანიზაციის მიერ მისი პერსონალურ მონაცემების არაკანონიერად დამუშავებაზე.

განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საფინანსო ორგანიზაცია ინტენსიურად უკავშირდებოდა მეგობრის მიერ აღებულ სესხთან დაკავშირებით მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელზეც წვდომა საფინანსო ორგანიზაციას ჰქონდა სესხის ხელშეკრულების ფარგლებში. კერძოდ, სესხის ხელშეკრულებით განმცხადებელი მითითებული იყო საკონტაქტო პირად მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუ ორგანიზაცია ვერ შეძლებდა მსესხებელთან დაკავშირებას. განმცხადებლის განმარტებით, მან ორგანიზაციის წარმომადგენელს პირველივე საუბრისას განუმარტა, რომ მსესხებლის საკონტაქტო მონაცემი ხელშეკრულებაში შეცდომით იყო მითითებული, მიაწოდა მობილური ტელეფონის დაზუსტებული ნომერი და სთხოვა აღარ დაკავშირებოდნენ. მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია ინტენსიურად აგრძელებდა განმცხადებელთან დაკავშირებას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ საფინანსო ორგანიზაცია განმცხადებლის მიერ მიწოდებული მობილური ტელეფონის მეშვეობით მართლაც დაუკავშირდა მსესხებელს, თუმცა კომპანიამ მონაცემთა ბაზაში არ ჩაასწორა ტელეფონის ნომერი. შესაბამისად, მსესხებელთან დაკავშირების ყოველი ახალი წარუმატებელი მცდელობის შემდგომ, ორგანიზაციის წარმომადგენლები კვლავ განმცხადებელს ურეკავდნენ.



სამართლებრივი შეფასება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული წესების დარღვევა, ვინაიდან განმცხადებლის პერსონალური მონაცემები არ დაამუშავა ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა კომპანიას მიაწოდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ითხოვა დაკავშირების შეწყვეტა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება



სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით საფინანსო ორგანიზაციას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ასევე, ორგანიზაციას დაეკისრა მსესხებლის მიერ მითითებულ საკონტაქტო პირებთან კომუნიკაციის პროცესის მარეგულირებელი წესის შემუშავების ვალდებულება.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის:



- ✓ საფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია დაამუშაოს მესამე პირის პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ უკავშირდება უშუალოდ მსესხებელს;
- ✓ საფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია მოთხოვნისთანავე შეწყვიტოს მსესხებლის მოძიების მიზნით იმ პირთან დაკავშირება, რომელსაც მსესხებლის შესახებ არ აქვს ინფორმაცია ან უკვე მიაწოდა ორგანიზაციას მის ხელთ არსებული ინფორმაცია ან თუ ეს პირი უარს აცხადებს მსესხებლის მოძიების მიზნით ორგანიზაციასთან თანამშრომლობაზე;
- ✓ საფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
 - რა მონაცემებს ამუშავებს მის შესახებ;
 - რა გზით შეგროვდა მონაცემები;
 - მონაცემთა დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი;
 - ვისზე გაიცა მონაცემები, მონაცემთა გაცემის მიზანი და საფუძველი.
- ✓ საფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

საფინანსო ორგანიზაციის მიერ რომელიმე ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება შეფასდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.